ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 357

“ 29 ” სექტემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე 8500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.72.14.009.495) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხისა და დაინტერესებულ პირთან თემურ ფხოველიშვილთან (პ/ნ 01026006637) გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე 8500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.72.14.009.495) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ პირთან თემურ ფხოველიშვილთან (პ/ნ 01026006637) გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 15 სექტემბრის №34.18.666 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე 8500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.72.14.009.495) საპრივატიზებო საფასურის გარეშე გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, თემურ ფხოველიშვილის (პ/ნ: 01026006637) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე 7900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.009.178) უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი
პროექტი

ხელშეკრულება
უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი ---------- .2017 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი

1.1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ---------- განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ---------- განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო** (შემდგომში „სააგენტო“, მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი ---------- მიერ - პ/ნ: №----------) და მეორეს მხრივ, **თემურ ფხოველიშვილი** (შემდგომში: „ქონების შემძენი“, პ/ნ: 01026006637, მის: ქ. თბილისი, ----------, წარმოდგენილი ---------- მიერ - პ/ნ: №----------), ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.2. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებას (პრივატიზების საგანი): **ქალაქ თბილისში, დიღმის სასწ. საცდელ მეურნეობაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8500 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (ს/კ: №01.72.14.009.495)**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №---------- – მომზადების თარიღი ----------

1.3. სანაცვლოდ, ამ ხელშეკრულებით, ქონების შემძენი საკუთრებაში გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს: **ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7900 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (ს/კ: №01.72.14.009.178)**

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №---------- – მომზადების თარიღი ----------

მუხლი 2. საკუთრების უფლების გადაცემა

2.1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს, ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა ამ ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება (პრივატიზების საგანი) ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცემა საპრივატიზებო საფასურის გარეშე. უძრავ ქონებაზე ქონების შემძენს საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. მისი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც გაიცემა სააგენტოს მიერ, ხელშეკრულების 3.5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დადასტურების შემდეგ.

მუხლი 3. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

3.1. სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. მასზე რეგისტრირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 20.07.06წ. №625 ბრძანებით მიწის შემძენის მიმართ განსაზღვრული ვალდებულება და გარდა აღნიშნული ვალდებულებისა, ეს მიწის ნაკვეთი არის უფლებრივად უნაკლო. მიწის ნაკვეთი არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

3.2. ქონების შემძენი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის მისი საკუთრება. არის უფლებრივად უნაკლო, უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით.

3.3. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის.

3.4. ქონების შემძენი ადასტურებს, რომ პრეტენზია არ გააჩნია ხელშეკრულებით გაცვლას დაქვემდებარებული უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობასთან დაკავშირებით.

3.5. ქონების შემძენი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში შეასრულოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 20.07.06წ. №625 ბრძანების შესაბამისად №01.72.14.009.495 საკადასტრო ერთეულზე რეგისტრირებული ვალდებულება და ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესაბამისი თანხა (28900 ლარი და 85 თეთრი) გადაიხადოს თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, შემდეგ ანგარიშზე:
მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773278

3.6. სააგენტო ვალდებულია, ხელშეკრულების 3.5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დადასტურების შემდგომ, დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა პრივატიზების საგანზე.

3.7. ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს შეძენილ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, გონივრულ ვადაში.

3.8. ქონების შემძენი ვალდებულია, დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

3.9. ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

3.10. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება მე-4 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

3.11. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

3.12. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული ქონება (პრივატიზების საგანი), ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, სარეგისტრაციო სამსახურში სააგენტოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს ხელშეკრულების მეორე მხარის ან სხვა პირის თანხმობას. ამასთან, ქონების შემძენს ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

მუხლი 4. პირგასამტეხლო

4.1. ხელშეკრულების 3.5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო (საურავი). პირგასამტეხლო განისაზღვრება 100 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე.

4.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:
მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773287
(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

მუხლი 5. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

6.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს). დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.

6.4. პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სავალდებულოა, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ხელშეკრულების გარდა ასევე წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

6.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.

6.6. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

თემურ ფხოველიშვილი